შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ალტერბრიჯი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ,,მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის" (შემდგომში - „სასწავლო უნივერსიტეტი") სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს, პირობებს, პროცესებსა და პროცედურებს.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის და მათ მიერ პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანია, განსხვავებული საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდაჭერა და საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისთვის მათთვის თანაბარი პირობების შექმნა.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტისთვის განსხვავებული, მის საჭიროებებზე მორგებული სწავლა-სწავლების, შეფასების ფორმებისა და პირობების შეთავაზება.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს სტუდენტის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები და პროცედურები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია შემუშავდეს: სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის; მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული, ასევე გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის; სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით; ორსულობისა და ბავშვის მოვლის პერიოდში; სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში, სტუდენტთა დატვირთვა აკადემიური წლის მანძილზე შესაძლებელია ნაკლები იყოს ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, თუმცა არაუმეტეს 75 კრედიტისა.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის

ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მოთხოვნით, სტუდენტმა/სტუდენტის მეურვემ უნდა მიმართოს შესაბამისი სკოლის დეკანს.

6. სტუდენტის/მეურვის განცხადებას საჭიროების შემთხვევაში თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტაცია: სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, ჯანმრთელობის განსაკუთრებული მდგომარეობის ან სხვა გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი.

7. სტუდენტის განცხადებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების თაობაზე განიხილავს კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს შესაბამისი სკოლის დეკანი და რომლის შემადგენლობაშიც შედიან სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახურის ხელმძღვანელები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ: საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახური. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს სტუდენტთან შეთანხმებით.

9. შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარედგინება სკოლის საბჭოს დასამტკიცებლად

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

1 წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით;

2 ცვლილებებს განიხილავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.